განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სხდომის ოქმი

ოქმი N9

2025 წლის 22 აპრილი, 15 : 30 საათი

ქ. ბოლნისი, სულხან - საბა ორბელიანის ქ. N95

ბოლნისის მუზეუმის შენობა

სხდომას უძღვებოდა: გივი მიქანაძე - საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ კომიტეტის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე, ვლადიმერ ბოჟაძე, ვლადიმერ კახაძე, გიორგი სოსიაშვილი, ნინო წილოსანი, დავით შერაზადიშვილი (ადგილმონაცვლე იმედა ნიკურაძის).

სხდომაზე დამსწრე სხვა პირები: გიორგი დოხტურიშვილი - ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული და ჯუმბერ გობეჯიშვილი - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი.

სხდომის მდივანი: თეონა აბულაძე - განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი.

სხდომის თავმჯდომარემ, გივი მიქანაძემ კომიტეტის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და დაადასტურა კვორუმის არსებობა. კომიტეტის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ დღის წესრიგს.

დღის წესრიგი

1. საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/45; 26.03.2025) განხილვა მეორე მოსმენით;

მომხსენებელი: გივი მიქანაძე - განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე;

2. ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის ინიცირება;

მომხსენებელი: გივი მიქანაძე - განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე;

3. სხვა საორგანიზაციო საკითხი;

მომხსენებელი: გივი მიქანაძე - განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე.

კომიტეტმა მოისმინა:

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ გივი მიქანაძემ კომიტეტის წევრებს ინიცირებისთვის წარუდგინა ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტი.

მომხსენებლის განცხადებით, 2025 წლის 14 აპრილს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა განიხილა და მისაღებად ცნო საქართველოს მოქალაქეების ნანა მაჭავარიანისა და გიორგი გოგოლაშვილის საკანონმდებლო წინადადება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართული ენის სავალდებულო სწავლების შესახებ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად კომიტეტმა ამ საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე შეიმუშავა საქართველოს კანონის პროექტი ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ", რომელიც კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით განსახილველად წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

კანონპროექტი ითვალისწინებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელმწიფოენოვან ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებული სტუდენტებისათვის ქართული ენის სპეციალური კურსის გავლა გახდეს სავალდებულო. ამ საკანონმდებლო ცვლილებით სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ აიმაღლონ ქართული ენის ფლობისა და წიგნიერების დონე.

კომიტეტის სხდომაზე მოსაზრებები გამოთქვეს და კითხვით მიმართეს მომხსენებელს: გიორგი ჩაკვეტაძემ, გიორგი სოსიაშვილმა და ვლადიმერ ბოჟაძემ.

კომიტეტმა გადაწყვიტა: განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წევრებმა მხარი დაუჭირეს ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტის ინიცირებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

სხდომის თავმჯდომარე: გივი მიქანაძე

სხდომის მდივანი: თეონა აბულაძე